განკარგულება:**გ-81. 81241502**
თარიღი:**29/05/2024**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №15

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 მაისის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 მაისის №24 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: (დანართი №1 თან ერთვის.)

მუხლი 2. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 1

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება	**შენიშვნა**
1	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ლაილაშში მდებარე ძველი ადმინისტრაციული შენობა (ს/კ 89.05.27.008	
2	სოფ.ალპანაში მდებარე ყოფილი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ს/კ 98.14.28.007)	სადემონტაჟო შენობების ცხრილში არის შეტანილი
3	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. გაგულეჩში მდებარე 1000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 89.04.30.193)	
4	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასაწყობებული სხვადასხვა სახის 5(ხუთი) ერთეული ტექნიკა. (ჯართულ დგომარეობაში) 1.ავტომანქანა GAZ 53 2.ავტომანქანა ZIL 130 3.ავტომანქანა MOSKVICH 2141 4.მუხლუხა ტრაქტორი VTZ DT-75 5.მუხლუხა ტრაქტორი VTZ DT-75	ქონების ეროვნული სააგენტოს 26 / ივლისი / 2023 წ. No 1/1-4637 ბრძანებით (დანართი 1) გადმოცემული მოძრავი ქონება (ჯართის სახით)
5	ცაგერის მუნიციპალიტეტის, სოფელ ღვირიშში მდებარე 816.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნული მიწის ნაკვეთი (ს/კ 89.07.24.258)	
6	ქ. ცაგერში კოსტავას ქუჩა №4 -ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 89.03.25.024 .	
7	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. აღვში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 89.09.23.185)	